პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი, 16 თებერვალი, 1943 წ. № 38 (6663). ფასი 20 კაპ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲨᲘ

გუშინ მთელ ჩვენს სამშობლოს ელვასავით მოედო სასიხარულო ამბავი იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები დონის როსტოვი, ვოროშილოვგრადი და კრასნი სულინი. მილიონობით საბჭოთა ადამიანები უდიდესი მადლობის გრძნობით ასხამენ ქება-დიდებას წითელი არმიის გმირებს, მის დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს.

1941 წლის ნოემბერში გერმანელებმა უდიდესი ზარალის ფასად შესძლეს ხელში ჩაეგდოთ დონის როსტოვი. რა აურზაური და ხმაური ასტეხეს მაშინ მთელს დედამიწაზე! ჰიტლერელები გაჰყვიროდნენ იმის შესახებ, რომ შენგრეულია კავკასიის კარი, რომ მათ ხელშია ყუბანისა და ბაქოს გასაღები.

1941 წლის 28 ნოემბრის ღამეს საბჭოთა ჯარებმა როსტოვიდან გაჰყარეს ჰიტლერელი ოკუპანტები. მოწინააღმდეგემ 5.000-ზე მეტი მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე და უკან დაიხია. წითელმა არმიამ აქ საშინელი სიმძლავრით დაარტყა ჰიტლერელებს, ხოლო ამის შემდეგ მთელი წყება დარტყმები აგემა მათ, რამაც გამოიწვია მოსკოვთან ფაშისტთა ურდოების განადგურება. როსტოვი პირველი დიდი ქალაქი იყო იმ ქალაქთა შორის, რომლებიც წითელმა არმიამ გაათავისუფლა მტრისაგან.

1942 წლის ზაფხულის შეტევის დროს ჰიტლერელმა ავანტიურისტებმა კვლავ შესძლეს ხელში ჩაეგდოთ დონის დედაქალაქი. კვლავ გავრცელდა მთელს მსოფლიოში ფაშისტური პროპაგანდის მყრალი ტრაბახი. ჰიტლერელები ყველა გზაჯვარედინზე გაჰყვიროდნენ, რომ ხელში ჩაიგდეს კავკასიის გასაღები, რომ ნავთის წყაროების კარი ფართოდ გაღებულია გერმანელ დამპყრობთათვის.

ახლა წითელმა არმიამ, რომელიც წარმატებით ანვითარებს თავის შეტევას, კვლავ დაიკავა ქალაქი დონის როსტოვი. ეს უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვებაა.

გერმანელები, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებული როსტოვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, გამმაგებით იცავდნენ ქალაქის შორეულ და ახლო მისადგომებს. ისინი მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეს გამოსავალი პოზიციები. მაგრამ ვერც ტანკებმა, ვერც ფაშისტთა თვითმფრინავებმა, ვერც მტრის მძლავრმა სიმაგრეებმა ვერ შეაჩერეს ჩვენი შემტევი ნაწილები. საბჭოთა ჯარებმა გასტეხეს და გასრისეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი.

არა მარტო მთელი საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობაც სულით და გულით მოეფერა წითელ არმიას ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. დონის როსტოვის დაკავებით წითელმა არმიამ განამტკიცა თავისი წარმატებანი სამხრეთში. ჭაღარა დონი მთელ თავის თვალუწვდენ სივრცეზე გაიწმინდა ჰიტლერული სიბილწისაგან.

მძლავრი ყინულთსვლა გრძელდება... წითელი არმია წინ მიიწევს!

ჰიტლერული პროპაგანდა, ცდილობს რა დაუმალოს გერმანიისა და გერმანელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობას ფრონტზე განცდილი მძიმე დამარცხებანი, გაურკვევლად ლუღლუღებს იმის შესახებ, რომ წითელი არმია ვითომდა ისეთ სოფლებს იკავებს, რომლებიც არავის არ გაუგონია, და რომ მან ხელშესახებ ტერიტორიულ წარმატებას ვერ მიაღწიაო. ეს ჰეგელსის კვეხნით აღსავსე რეპერტუარის ძველი ნაცნობი ჰანგია!

კოტელნიკოვო, სალსკი, ნალჩიკი, მოზდოკი, სტავროპოლი, კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, მინერალნიე ვოდი, არმავირი, მაიკოპი, ტიხორეცკი, კრასნოდარი, მილეროვო, შახტი, კამენსკი, კრამატორსკაია, კრასნოარმეიესკოე, კუპიანსკი, ჩუგუევი, ბელგოროდი, ლოზოვაია, კურსკი, ფატეჟი, ველიკიე ლუკი, ზლისელბურგი და მრავალი და მრავალი სხვა ქალაქი, ასობით რკინიგზის სადგური, ათასობით დასახლებული პუნქტი—აი ის „სოფლები, რომლებიც არავის არ გაუგონია“ და რომლებიც წითელმა არმიამ უკანასკნელ ხანს დაიკავა.

ახლა ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ საბჭოთა ქალაქების სახელოვან წყებას მიემატა დონის როსტოვი, ვოროშილოვგრადი და კრასნი სულინი. განთავისუფლებულია სწორედ ის როსტოვი, რომლის შესახებაც გერმანელები სულ ახლა ხანს სწერდნენ, რომ მას „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოსავალი პოზიცია უჭირავს და შავ ზღვასთან მდებარე ქალაქთა შორის მესამეა თავისი სიდიდით“. სწორედ ის როსტოვი, რომლის დასაცავადაც გერმანელები მთელი ძალ-ღონით ემზადებოდნენ და გულდაჯერებით აცხადებდნენ, რომ საბჭოთა სარდლობის განზრახვა — ხელში ჩაიგდოს ეს ქალაქი — ვერასოდეს ვერ განხორციელდებაო. ძვირად დაუჯდათ გერმანელებს „კავკასიის გასაღები“ და მთელი თავიანთი კავკასიის ავანტიურა!

საბჭოთა ჯარების შეტევის დასაწყისიდანვე ჰიტლერული პროპაგანდა ამშვიდებდა და არწმუნებდა გერმანელებს, წითელმა არმიამ ვერავითარ სტრატეგიულ წარმატებას ვერ მიაღწია, რამდენადაც როსტოვი ვერ დაიკავაო. რა ჰანგზე ამღერდებიან ახლა ჰიტლერის სამორინოში თავმოყრილი ნაცადი ყალთაბანდები!

დიდად გაახარებს ყველა პატიოსან ადამიანს აგრეთვე ცნობა ჩვენი ჯარების მიერ ვოროშილოვგრადის დაკავების შესახებ. წითელმა არმიამ უკვე გასწმინდა ოკუპანტებისაგან უკრაინის მრავალი ქალაქი და რაიონული ცენტრი. ახლა ჩვენი სახელოვანი საბჭოთა დროშა აღმართულია საბჭოთა უკრაინის დიდ საოლქო ცენტრში, დონბასის უდიდეს სამრეწველო ცენტრში.

ჰიტლერელი ყაჩაღები გაშმაგებით მოიწევდნენ დონბასისაკენ. ამ მტაცებლებს უხვად ადგებოდათ პირში ნერწყვი, როცა სრულიად-საკავშირო ქურის უმდიდრესი წიაღი აგონდებოდათ და უკრაინის მდიდარ ქვანახშირზე ოცნებობდნენ. მაგრამ, როგორც უკრაინელები იტყვიან, კაცი მატყლისათვის წავიდა, თვითონ კი გაპარსული დაბრუნდა. წითელი არმია მეთოდურად ათავისუფლებს მშობლიურ დონბასს, მიერეკება მტერს ვოროშილოვგრადისა და სტალინოს ოლქების ქალაქებიდან და დაბებიდან, სულ უფრო და უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს ევროპის ყოფილ ფაშისტთა ორიგინალებს.

მთელი მსოფლიო აღტაცებით აღნიშნავს საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმატებებს. სტალინგრადის სახელოვანი ეპოპეა, რაც გერმანიის რჩეული არმიების ისეთი სრული განადგურებით დამთავრდა, რომელიც უმაგალითოა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში, სამუდამოდ დარჩება თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის ხსოვნაში. ყველა ქვეყნის უდიდესი სამხედრო სპეციალისტები და პოლიტიკური მოღვაწენი ღრმა პატივისცემით ლაპარაკობენ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის სტრატეგიული გეგმების სიბრძნეზე, საბჭოთა ხალხების ბელადისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ სტალინის გამჭრიახობასა და გენიალურ ხელმძღვანელობაზე.

ბრძნული სტალინური გეგმების განხორციელება საიმედო ხელშია. საბჭოთა ხალხი ღრმა მადლობითა და პატივისცემით წარმოსთქვამს წითელი არმიის გენერლებისა და მხედართუფროსების სახელებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ჯარები ზედიზედ იმარჯვებენ. დონის როსტოვთან მოპოვებული გამარჯვება დაკავშირებულია გენერალ-პოლკოვნიკ ამხანაგ მალინოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ ამხანაგ გერასიმენკოს, პოდპოლკოვნიკ ამხანაგ კოვალევის, პოდპოლკოვნიკ ამხანაგ სივანკოვის, პოლკოვნიკ ამხანაგ დრიახლოვის, მაიორ ამხანაგ დუბროვინის, პოლკოვნიკ ამხანაგ შაპკინისა და მაიორ ამხანაგ ხოდოსის სახელებთან. წარმატებითი მოქმედება, რაც ვოროშილოვგრადისა და კრასნი სულინის აღებით დაგვირგვინდა, წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების დამსახურებას, რომლებსაც არმიის გენერალი ამხანაგი ვატუტინი სარდლობს.

საბჭოთა სამშობლო აფასებს თავის გენერლებს, უყვარს ისინი. სამშობლოს წინაშე მათს დამსახურებას მაღალი ჯილდოებით აღნიშნავენ. დღეს საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით გაიგებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალ ბრძანებულებას, რითაც აღნიშულია მხედართუფროსთა ჯგუფი, რომლებიც ოსტატურად, მამაცურად და წარმატებით ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო ოპერაციებს. სუვოროვის ორდენებით დაჯილდოებულნი არიან გენერლები გერასიმენკო, რეიტერი, ცვეტაევი, შლემინი, ბორისოვი, ვოროჟეიკინი, კრეიზერი, ფალალეევი და ჩანჩიბაძე. სახელი და დიდება სუვოროვის ორდენის კავალერებს!

რამდენიმე დღის შემდეგ ზეიმით აღინიშნება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 25 წლისთავი. ამ სახელოვან იუბილეს საბჭოთა ჯარები საზიზღარ მტერთან ბრძოლებში მოპოვებული უდიდესი წარმატებებით ხვდებიან.

სამხრეთში მოპოვებული ახალი გამარჯვებანი მტრის სრული განადგურების საქმეში, გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან ჩვენი შშობლიური მიწა-წყლის გაწმენდის საქმეში შეტანილი დიდი განძია.

„პრავდის“ მოწინავე, 15/II.

რწმუნებულობის სიგელების გადაცემა სსრ კავშირში საბერძნეთის დესპანის ბ-ნ ა. პოლიზისის მიერ

1943 წლის 15 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო საბერძნეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ა. პოლიტისი, რომელმაც თავისი რწმუნებულობის სიგელები გადასცა.

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დადგინა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მოამზადოს ამა წლის 1 მარტიდან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სასურსათო საქონლით იმ ნორმების შიგნით, რომლებიც დაწესებულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შუშებისათვის. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელთან მომარაგების განყოფილებები ეწყობა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი სტუდენტების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საჭირო არის ცნობილი მოეწყოს მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებლებთან დამხმარე მეურნეობანი და უზრუნველყოფილ იქნან ისინი მიწის ნაკვეთებით, თესლეულით, სასოფლო-მეურნეო ინვენტარით, გამწვეი ძალით, უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს წინადადება მიეცათ მეტი დახმარება გაუწიონ სტუდენტთა სასადილოებს და დაუწესონ კონტროლი მათს მოქმედებაზე.

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის შეადგენლობაში იქმნება უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილება.

(საკდესი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

I.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ

სამხრეთის ფრონტის ჯარები, გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. რ. ი. **მალინოვსკის** სარდლობით, რამდენიმე დღის განმავლობაში ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს ქალაქ **დონის როსტოვისათვის. დღეს, 14 თებერვალს, გასტეხეს რა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი დონის როსტოვი.**

როსტოვისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვ. ფ. **გერასიმენკოს** ჯარებმა. ქალაქში შეიჭრნენ პოდპოლკოვნიკ ამხ. **კოვალევის,** პოდპოლკოვნიკ ამხ. **სივანკოვის,** პოლკოვნიკ ამხ. **დრიახლოვის,** მაიორ ამხ. **დუბროვინის** ნაწილები. დასავლეთიდან შემოვლით ქალაქს დაკავებას ხელი შეუწყეს პოლკოვნიკ ამხ. **შაპკინისა** და მაიორ ამხ. **ხოდოსის** ნაწილებმა.

II.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲒᲠᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲜᲘ

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, არმიის გენერალ ამხ. ნ. ფ. ვატუტინის სარდლობით, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქები **ვოროშილოვგრადი** (უკრაინა) და **კრასნი სულინი** (როსტოვის ოლქი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობისათვის ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღების შესახებ

1. დაკმაყოფილდეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და შემოღებულ იქნას, არსებულის ნაცვლად, ახალი განმასხვავებელი ნიშნები—სამხრეები სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობისათვის.
2. დამტკიცდეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის ახალი განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშები და აღწერილობა.
3. გავრცელდეს წითელ არმიაში დაწესებული განმასხვავებელი ნიშნები სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების პირად შემადგენლობაზე, რომლებისათვისაც დაწესებულია ტანსაცმლის საერთო-საარმიო ფორმა.
4. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა დააწესოს ახალ განმასხვავებელ ნიშნებზე გადასვლის ვადები და შეიტანოს საჭირო ცვლილებანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის ტანსაცმლის ფორმაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოროკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 15 თებერვალი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატში

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა თავისი ბრძანებით დაწესა ახალ განმასხვავებელ ნიშნებზე—სამხრეებზე გადასვლა მთელი სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის 1943 წლის 18-დან 25 თებერვლამდე.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო ოპერაციების მოხერხებულად და მამაცურად ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით

1. გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ფილიპეს-ძე **გერასიმენკო**
2. გენერალ-პოლკოვნიკი მაქს ანდრიას-ძე **რეიტერი**
3. გენერალ-ლეიტენანტი ვიაჩესლავ დიმიტრის-ძე **ცვეტაევი**
4. გენერალ-მაიორი ივანე ტიმოთეს-ძე **შლემინი**

სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით

1. გენერალ-მაიორი მიხეილ დიმიტრის-ძე **ბორისოვი**
2. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ალექსის-ძე **ვოროჟეიკინი**
3. გენერალ-ლეიტენანტი იაკობ გრიგოლის-ძე **კრეიზერი**
4. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი თევდორე იაკობის-ძე **ფალალეევი**
5. გენერალ-მაიორი პორფილე გრიგოლის-ძე **ჩანჩიბაძე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოროკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 14 თებერვალი.

როგორ დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა ნოვოჩერკასკი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„იზვესტია“ აქვეყნებს შემდეგ დაწვრილებით, ცნობებს წითელი არმიის მიერ ნოვოჩერკასკის აღების შესახებ:

სუვოროვის ორდენის კავალერი
გენერალ-მაიორი ამხ. პ. გ. ჩანჩიბაძე

ჩვენი ჯარების წინსვლა ამ რაიონში ფრიად ენერგიული იყო. ჩვენი ნაწილების მიერ ქალაქ შახტის აღების შემდეგ, გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი შეტევა შუალედ ზღუდეებზე. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მარტო წინა ბრძოლებში შეფერთხილი ნაწილები, არამედ სასწრაფოდ მოყვანილი რეზერვებიც.

იმ შენაერთის ნაწილებმა, რომელსაც გენერალ-მაიორი **ჩანჩიბაძე** სარდლობს, ოსტატური შემოვლითი მანევრი ჩაატარეს და გარემოცვის საფრთხეში ჩააყენეს გერმანელები. ერთ უბანზე მოწინააღმდეგე ექვსჯერ გადმოდიოდა კონტრიერიშზე ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით. გერმანელთა ავალა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან გერმანელთა მეტიწილი ტანკები გამოყვანილ იქნა მწყობრიდან. გერმანელებმა რამდენიმე ასი კაცი დაჭკარგეს და საჩქაროდ დაიხიეს თვით ქალაქისაკენ, სადაც გადასწყვიტეს დაყრდნობოდნენ წინასწარ მომზადებულ პოზიციებს. მტრის ამ განზრახვიდან არაფერი არ გამოვიდა. გენერალ-მაიორ **უტვენკოს** და პოლკოვნიკ **სერეგინის** მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშის შედეგად დაიკავეს გერმანელთა უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტები ნოვოჩერკასკის მისადგომებზე. მათ გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და თვით ქალაქში შეიჭრნენ. აქ გააფთრებული ხელჩართული შეტაკებები გაჩაღდა. ამ შეტაკებებში ჩვენი მებრძოლები ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. მათ ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს ქუჩებში ბრძოლის წარმოების მაღალი ოსტატობა. ჰიტლერელთა მრავალი ასეული გვამი ჰყრია ნოვოჩერკასკის ქუჩებსა და ეზოებში. ქალაქში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა დიდძალი ტექნიკა.

ყველაზე შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა რკინიგზის სადგურის რაიონში. გერმანელებს სადგურთან მდებარე რამდენიმე მაღალი შენობა ნამდვილ ფორტებად გადაექციათ და იქიდან ჯვარედინ სროლას აწარმოებდნენ. მტრის ამ დასაყრდენი პუნქტების ჩახშობაში თავი გამოიჩინეს ჩვენმა არტილერისტებმა. მტრის ცეცხლი თანდათანობით შესუსტდა. ამით ისარგებლეს საბჭოთა ქვეგანაყოფებმა, შემოუარეს სადგურს და ერთსა და იმავე დროს ორი მხრიდან მიიტანეს მასზე იერიში. გერმანელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბევრი გერმანელი მეავტომატე. რომლებმაც ტყვედ დანებება არ ისურვეს, გაქლეტილია ჩვენი ჯარების მიერ. გერმანელებმა იწყეს საჩქაროდ უკან დახევა ქალაქიდან. მათ ჩვენი ჯარები სდევნიან.

ნოვოჩერკასკი საბოლოოდ გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

ვ. ᲧᲐᲠᲐ-ᲛᲣᲠᲖᲐ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

დაწვრილებითი ცნობები სოლომონის კუნძულების რაიონში მომხდარი ბრძოლების შესახებ

ნიუ-იორკი, 15 თებერვალი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 10 თებერვალს ამერიკის ავიაციამ ჩასძირა იაპონელთა 3 საესკადრო ნაღმოსანი და ძლიერ დააზიანა სულ ცოტა ოთხი საესკადრო ნაღმოსანი. ორ სხვა საესკადრო ნაღმოსანზე იერიში მიტანილ იქნა ამ დროს, როცა ისინი ეხმარებოდნენ იაპონიის ჯარების ევაკუაციას კუნძულ გვადალკანარიდან.

კუნძულ ახალ გეორგიის რაიონში ერთბაშად იქნა მიტანილი იერიში 20 საესკადრო ნაღმოსანზე. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია იაპონელთა 17 ავიაგამანადგურებელი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

15 თებერვლის ღამის ცნობა

14 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენნი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ლიხაიას რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ. ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში ნ შენაერთის ნაწილებმა დაიჭიანეს და დასწვეს გერმანელთა 26 ტანკი. ხელთ იგდეს 9 ორთქლმავალი და 150 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 7 ქვემეხი, 15 ტანკი, 68 ავტომანქანა, 7 ორთქლმავალი, 400 ვაგონი, მარცვლეულის საწყობი და ხე-ტყის მასალის 3 საწყობი.

* * *

ვოროშილოვსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენნი ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. გააფთრებულ ბრძოლებში მოსპობილია 5 ტანკი და გერმანელთა 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგე, ცდილობს რა შეაჩეროს საბჭოთა ჯარების წინსვლა, ბრძოლაში აბამს თავის რჩეულ ნაწილებს, მათ შორის „სს“-ელთა დივიზიებს, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მოვიდნენ საფრანგეთიდან. ჩვენი ნაწილები სძლევენ მტრის წინააღმდეგობას და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სამი დღის ბრძოლებში ნ შენაერთის ნაწილებმა დასწვეს და დაზიანეს გერმანელთა 62 ტანკი და მოსპეს მოწინააღმდეგის 1.200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს 15 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის 11 მანქანა მოსპეს, გერმანელთა დანარჩენი 4 ტანკი კი სწრაფად მიიმალა.

* * *

ზოლოჩევის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ მათ მიერ დაკავებული თავდაცვის ზღუდე და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მოიგერიეს და დიდი ზარალი მიაყენეს მას.

* * *

კურსკის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი, რომლისთვისაც ბრძოლაში 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს და ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 15 ავტომანქანა და 3 საწვავი.

* * *

როსტოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ააფეთქეს გერმანელთა სარკინიგზო ეშელონი სამარა მასალებსა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა 50 ჰიტლერელი და ხელთ იგდო 3 მოტოციკლი, 46 შაშხანა, 3.000 ვაზნა, 8 საზიდარი, 10 ცხენი, 1.000-ზე მეტი სული რქიანი საქონელი და მარცვლეულის დიდი საწყობი. როსტოველი პარტიზანების სხვა რაზმი ერთ სოფელში თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს და გაანადგურა იქ მყოფი ჰიტლერელები. რაზმმა ხელთ იგდო დაახლ. 5 ავტომატი, 40 შაშხანა, 4.000 ვაზნა, 65 ბინოკლი, 80 ცხენი და სურსათის 2 საწყობი.

* * *

მოწინააღმდეგისაგან განთავისუფლებულ სუტორ ნოვო-მაქსიმოვსკში ჩვენი მებრძოლების ყურადღება მიიქცია ორმა ქვეტკირის შენობამ, რომლების ფანჯრებიც მთლიანად ამოშენებული იყო აგურით და კარები ჩაუდილი ყო. ამ შენობათა შიგნით აღმოჩნდა 60 ნახევრადგახრწნილი გვამი და 16 სიკვდილის პირას მისული წითელარმიელი. როგორც გამოირკვა, გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა, ტყვედ ჩაიგდეს რა დაჭრილ წითელარმიელთა ჯგუფი, გამოამწყვდიეს, ცოცხლად დამარხეს ისინი. ადამიანები ნელი, ტანჯვით აღსავსე სიკვდილის მსხვერპლნი ხდებოდნენ. წითელი არმიის მისვლამ გარდუვალი დაღუპვისაგან იხსნა ცოცხლად დარჩენილი წითელარმიელები.

15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

15 თებერვალს უკრაინაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **კრასნოდონი,** რაიონული ცენტრი **უსპენკა,** რკინიგზის დიდი სადგური **ლუტუგინო,** რკინიგზის სადგური **ვერხნედუვანნაია.**

როსტოვის ოლქში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **როდიონოვო-ნესვეტაისკოე,** დიდი დასახლებული პუნქტები **კუტეინიკოვო, ბოლშიე სალო.**

ორიოლის ოლქში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **დროსკოვო** და სხვა დასახლებული პუნქტები.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 19.000 ტონა საერთო წყალწყვის 2 ტრანსპორტი.

* * *

14 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს მოწინააღმდეგის 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 8 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი და ააფეთქეს სომარ მასალათა 2 საწყობი.

* * *

კრასნი სულინის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და გერმანელი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს 30 დასახლებული პუნქტი. ერთ-ერთ აეროდრომზე მათ ხელთ იგდეს გერმანელთა 2 ვარსი თვითმფრინავი. 6 ნაწილის მებრძოლებმა გაყლეტეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 4 ტანკი და ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი და 28 ავტომანქანა სომარ მასალიანად.

* * *

ვოროშილოვსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ ნაწილმა განდევნა მოწინააღმდეგე დიდი დასახლებული პუნქტიდან და 200 ჰიტლერელი გაყლეტა. ხელთ იგდო დავლა, მათ შორის 12 ქვემეხი, 31 ავტომანქანა, სომარ მასალათა საწყობი და საჭურველის საწყობი.

* * *

კრასნოარმეიესკოეს რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგემ მოიტანა რამდენიმე კონტრიერიში. რომლებიც მოგერიებულ იქნა მისი-ვის დიდი ზარალის მიყენებით. 6 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 18 ორთქლმავალი, 500 სხვადასხვა ვაგონი, 1.500 ავტომანქანა, 100 მოტოციკლი, სასურსათო საწყობი და სხვა დავლა. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი. ტანკების დახმარებით, კონტრიერიშზე გადმოვიდა. იმ ბატარიის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი კოსტროვი, ქვემეხები ღია პოზიციებზე გამოაგორეს და პირდაპირი დამიზნებით დააზიანეს გერმანელთა 7 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა.

უუნკონი სახელი მოიხვეჭეს ამხ. გრეცუნის ქვეგანაყოფის გვარდიელებმა. მათ ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი გამგარებული წერტილები და მოიგერიეს ჰიტლერელთა რამდენიმე გააფთრებული იერიში. მაშინ ფაშისტებმა კონტრიერიში მოიტანეს ფრონტიდან და იმ ფლანგს, რომელსაც იცავდა ოცეული ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილის პოლიტნაწილში ამხ. პოლიაკოვის ხელმძღვანელობით, მოაყარეს 26 ტანკი ნეკატომატიებით. ვითარება უადრესად გართულდა, მაგრამ 17

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 თებერვლის დილის ცნობა

13 თებერვლის დამის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევის ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ნოეოჩერკასკის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 5 ნაწილის მებრძოლებმა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ქვანძიდან განდევნეს გერმანელები და ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი და ბევრი საომარი მასალა.

* * *

შახტის დასავლეთით ჩვენი ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და ხელთ იგდეს დავლა, რომელშიც არის 3 ორთქლმავალი, 72 ვაგონი, 28 ავტომანქანა და საომარ მასალათა 4 საწყობი. წამოყვანილია ტყვეები. 5 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი გაყლატეს და მოწინააღმდეგის 2 ტანკი დასწვეს.

* * *

კრასნოარმეისკოეს რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგემ რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქნა, ამასთან დიდად დაზარალდა. მარტო ერთ უბანზე განადგურებულია გერმანელთა ერთი ბატალიონი მოტორიზებული ქვეითი ჯარი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი და 2 დამწვარი ტანკი.

* * *

ლოზოვაიას რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი, რომლისთვის ბრძოლებშიც გერმანელთა 5 ტანკი დააზიანეს და დასწვეს. წამოღებულია 3 ტანკი, 4 ქვემეხი და ავტომანქანა რადიოსადგურიანად. სხვა უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 7 ქვემეხი, 22 ავტომანქანა, 10 ტონა ეკლიანი მავთული, 19 პლატფორმა რელსი და შპალი, 21 ვაგონი ქვანახშირი და 100 საქონლის ვაგონი სხვადასხვა ტვირთებით.

* * *

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ და წინ მიიწევდნენ. 5 მოძრავმა ნაწილმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ჯარი გაყლატეს და მტრის 29 ტანკი დაზიანეს და დასწვეს. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

* * *

ვალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედ პარტიზანულ რაზმს თავს დაესხა გერმანელთა საფამსჯელო ექსპედიცია. ჰიტლერელები, რომელთაც დიდი რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდათ, ცდილობდნენ გარს შემორტყმოდნენ და მოესპოთ პარტიზანები.

საბჭოთა პატრიოტებმა, რომელნიც ტყის ბილიკებზე და თხელამურებით მომქმედებდნენ, მოსპეს 90 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დასჭრეს 100-ზე მეტი. გერმანელმა ფაშისტმა დამსჯელებმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს და უკან დაიხიეს. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. მარცხის შედეგად დაიმტვრა 2 ორთქლმავალი, 8 ვაგონი და 8 პლატფორმა სამხედრო ტვირთებით.

* * *

გეოსანიის სარდლობა დაჟინებით მალავს ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანიის ჯარების დამარცხებას და წინანდებურად ავრცელებს სულელურ ზღაპრებს იმის შესახებ, ვითომდა წინასწარ განზრახული და დიდი ხნის წინათ მოფიქრებული იყო „ფრონტის ხაზის შემოკლება კავკასიაში“. სამხედრო ტყვე გერმანელთა ჩვენება ამყარებს გერმანიის სარდლობის ამ აშკარა ყალთაბანდობას. ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის მე-13 სატანკო დივიზიის, 93-ე მოტორიზებული პოლკის მე-7 ასეულის უნტერ-ოფიცერმა ჰაინც მახლიტმა განაცხადა: „ჩვენს დივიზიას ამოცანად დაუსახეს დაეკავებინა ქალ. ორჯონიკიძე. განზრახული იყო, რომ დივიზია იქ გამოიზამთრებდა. როცა დაიწყო რუსების შემოტევა, ოფიცრები არაერთხელ ამბობდნენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა შევინარჩუნოთ პოზიციები, რათა გაზაფხულზე განვაგრძოთ ლაშქრობა გროზნოსა და ბაქოზეო“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის 97-ე ქვეითი დივიზიის 204-ე პოლკის მე-13 ასეულის ჯარისკაცმა რუდოლფ მიუტუმ განაცხადა: „ჩვენი დივიზია ტუაფსესაკენ უნდა გაჭრილიყო, აეღო იგი და ზამთრის ბინები უნდა უზრუნველეყო თავისთვის ამ ქალაქში. ტუაფსეს აღება ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ გამოაცხადეს, რომ ქალ. მაიკოპში გამოვიზამთრებთო. სრულიად მოულოდნელად საქმე სხვანაირად დატრიალდა. რუსებმა წაგვართვეს ზამთრის ბინები კავკასიაში“.

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის 370-ე ქვეითი დივიზიის 667-ე პოლკის მე-6 ასეულის უნტერ-ოფიცერმა ფრიდრიხ ლობაკმა განაცხადა: „მთელ ზაფხულს ოფიცრები ჩაგვიჩინებდნენ, უახლოეს ხანში ირანს მივაღწევთო. მაგრამ ჩვენ გავიჭედეთ და წინ წაწევა ვეღარ შევძელითო. შემოდგომაზე დივიზიას უმაღლესი სარდლობის ბრძანება მოუვიდა: დაუყოვნებლივ შეუდექით მკვიდრი და საიმედო თავდაცვის აგებასო. ბრძანება ყველა ჯარისკაცს წაუკითხეს. მასში ნათქვამი იყო, რომ გაზაფხულამდე კავკასიაში დავრჩებით, რომ ეს ზამთარი შარშანდელზე უფრო ხელსაყრელი იქნებაო. რუსების შემოტევა სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის. ჩვენ არ გვეგონა, რომ რუსებს შეტევის უნარი ჰქონდათ“.

14 თებერვლის საღამოს ცნობა

14 თებერვალს სამხრეთის ფრონტის ჯარებმა, გასტეხეს რა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, დაიკავეს ქალაქი დონის როსტოვი.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გაათიშრებული ბრძოლებით, შემდეგ დაიკავეს ქალაქები ვოროშილოვგრადი (უკრაინა), კრასნი სულინი (როსტოვის ოლქი).

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

გასული კვირის მანძილზე, 7-დან 13 თებერვლამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანიის 243 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 101 თვითმფრინავი დავკარგეთ.

1-დან 12 თებერვლამდე განვლილი დროის მანძილზე ჩვენმა ხომალდებმა და ავიაციამ ბარენცის ზღვაში მოწინააღმდეგის ექვსი ტრანსპორტი და ერთი სადარაჯო ხომალდი ჩასძირეს.

* * *

13 თებერვალს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს მოწინააღმდეგის 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, აფეთქეს საომარ მასალათა საწყობი და საწვავის საწყობი და დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი.

* * *

ლიბაოს რაიონში ჩვენი ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ-ერთი ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში წამოღებულია 2 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 8 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 22 ტყვიამფრქვევი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა შახტი და 2 დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ხელთ იგდეს 14 ავტომანქანა, საომარ მასალათა საწყობი და სურსათის საწყობი.

* * *

ვოროშილოვსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. წამოღებულია დიდი დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს.

* * *

კრასნოარმეისკოეს რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ქალაქ კრასნოარმეისკოესთვის ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდეს დიდი დავლა; ნადავლში შედის 20 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 20 ტანკისაგან შემდგარი ეშელონი, 10 ეშელონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთი, 600 ავტომანქანა და რამდენიმე საწყობი. 5 ნაწილმა სწრაფი დარტყმით განდევნა ჰიტლერელები დიდი დასახლებული პუნქტიდან. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 200 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ და წინ მიიწევდნენ. 5 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს 7 ტანკი და გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა სცადეს კვლავ დაეკავებინათ ერთი დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი და კონტრიერიშში მოიტანეს. საბჭოთა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს მტერი, შემდეგ კი ყველა სახის იარაღის სროლა აუტეხეს. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 300-მდე გვამი, 3 დამწვარი ტანკი და უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

* * *

ფატეჟის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი, რომელიც ერთ დასახლებულ პუნქტს იკავებდა, და ტყვედ წამოიყვანეს 160 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა. 5 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშების მოგერიებისას მოსპეს ორი ასეული ჰიტლერელი და დაზიანეს გერმანელთა 4 ტანკი.

* * *

ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელიც სუმის ოლქში მოქმედებს, უეცრად დაესხა თავს გერმანელთა გარნიზონს. პარტიზანებმა მტრის 93 ჯარისკაცი და ოფიცერი გაყლატეს და ხელთ იგდეს დავლა: 2 ტყვიამფრქვევი, 60 შაშხანა, 15 ცხენი და 10.000 ვაზნა. უკრაინელ პარტიზანთა სხვა რაზმი ბრძოლას ეწეოდა მოწინააღმდეგის ჯარის ძალებთან. საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს 100-მდე ჰიტლერელი და ტყვედ წაიყვანეს 40 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

როსტოვის ოლქის სტანიცა რომანოვსკაიაში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინლად აწამეს და დასტანჯეს საბჭოთა მოქალაქენი, — მათ ხელებს უმტვრევდნენ, თვალებს სთხრიდნენ. ამჟამად ჰიტლერელთაგან განთავისუფლებული სტანიცის მცხოვრებლებმა გვიამბეს, თუ რა ვაჟკაცურად იქცეოდნენ საბჭოთა პატრიოტები. როცა ფაშისტმა ბანდიტებმა დასახვრეტად წაიყვანეს ვალენტინ ტიუზოვი, მან მთელი ძალ-ღონით შესძახა: „გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!“ საბჭოთა მოსამსახურე კოჟანოვმა დახვრეტის წინ პირში მიახალა ჯალათებს: „მოახლოებულია შურისგების ჟამი! წითელი არმია გადაგიხდით თქვენ, ფაშისტ ქვეწარმავლებს, ყველაფრისათვის, რაც ჩვენს მიწა-წყალზე ჩაიდინეთ“.

* * *

იუგოსლავიელი პატრიოტებ გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან გერმანელ-იტალიელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. აიდოვეცში პარტიზანებმა იტალიელთა გარნიზონი გაანადგურეს და ტყვედ წაიყვანეს 70 კაცი. რისოვაც-გორნია სუბაიას უბანზე პარტიზანებმა სამი დღის ბრძოლებში 400-მდე ჰიტლერელი გაყლატეს. ბლეტვიცეს რაიონში, აფეთქებულია გერმანელთა 6 ტანკი. მაიკასა და ჩაპლესთან პარტიზანები ეწევიან ბრძოლებს გარშემორტყმულ გერმანელთა ჯგუფის მოსასპობად.

სომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 15 თებერვალი (საკუთარი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ტუნისის ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

მოკავშირეთა ავიაციამ ბიზერტის დოკები და სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები დაბომბა. ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 4 ავიაგამანადგურებელი. ტუნისსა და სიცილიას შუა მოსპობილია მტრის 6 სატრანსპორტო თვითფრინავი.

მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა და არტილერიამ, მუშაკირე ბომბდამშენების დახმარებით, იერიში მიიტანა ფაიილის დასაღებად.

ბრიტანეთის ჯარები განაგრძობენ წინსვლას დასავლეთისაკენ სანაპირო სექტორში.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა კელნსა და მილანზე

ლონდონი, 15 თებერვალი (საკუთარი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 14 თებერვალს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ჩაატარეს დიდი ოპერაციები, რომელთა მთავარ ობიექტებს წარმოადგენდნენ კელნი და მილანი. კელნს დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში აყრიდნენ ბომბებს. მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერია ჩვეულებრივზე ნაკლებ აქტივობას იჩენდა, მაგრამ ჰაერში მოწინააღმდეგის ბევრი ავიაგამანადგურებელი ტრიალებდა. ქალაქს დიდძალი ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბი დავაყარეთ.

მილანში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. მილანი სიდიდით იტალიის მეორე ქალაქია. მისი მოსახლეობა ერთ მილონ კაცს აღემატება. მილანი იტალიის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო ცენტრია. მიუხედავად ამისა, ქალაქის საჰაერო თავდაცვა სუსტი აღმოჩნდა. იტალიის ავიაგამანადგურებლები არ სჩანდნენ.

ყველა ამ ოპერაციიდან თავის ბაზაზე არ დაბრუნებულა ინგლისის 11 თვითმფრინავი.

გუშინ დღისით ინგლისის ბომბდამშენებმა მთელი რიგი სარკინიგზო ობიექტები დაბომბეს ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

დაზიანებულია ბევრი ორთქლმავალი.

თვითმფრინავებმა, რომლებსაც კუნძულ მალტაზე აქვთ ბაზა, გააფთრებული იერიში მიიტანეს იტალიის, ტუნისისა და სიცილიის რკინიგზის ობიექტებზე, მოსპობილი ან დაზიანებულია 40 ორთქლმავალი.

განდის შიმშილობა გამოაცხადა

ლონდონი, 14 თებერვალი (საკუთარი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერმა განდიმ, რომელიც „მუმბაი ალ-ხანის სასახლეშია დაპატიმრებული პუნაში, გამოაცხადა 22 დღიანი შიმშილობა, რაც მან 10 თებერვალს დაიწყო.

ინდოეთის მთავრობის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მას განზრახული არა აქვს შესცვალოს თავისი პოლიტიკა განდის შიმშილობის ზეგავლენით. მთავრობამ, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, აცნობა განდის, რომ იგი შეიძლება განთავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან იმ დროით, სანამ იშიმშილებს და, თუ იგი მისურვებს, მასთან ერთად მყოფი კონგრესის წევრებიც განთავისუფლებულ იქნებიან. მაგრამ განდიმ უარი სთქვა ამ წინადადების მიღებაზე და განაცხადა, რომ იგი პატიმრობაში იშიმშილებს.

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 13 თებერვალი (საკუთარი). მიმართა რა კორესპონდენტთა ასოციაციას თეთრ სახლში, რუზველტმა განაცხადა: „ორი წლის წინათ — მრავალი თვით ადრე, სანამ პირლ-ჰარბორის ამბები მოხდებოდა—მე თქვენ გელაპარაკებოდით იმ აზრის შესახებ, რომელიც იმ დროს თავში გვიტრიალებდა, — რომ ამერიკას მტაცედ აქვს გადაწყვეტილი გადაიქცეს დემოკრატიის არსენალად. მაშინ ყველა ამერიკელმა მტაცედ დაიწყო ამ სრული მონაწილეობა მიეღო ბარბაროსთაგან ცივილიზაციის ხსნის საქმეში. უკვე მაშინ ჩვენ სავსებით გართულნი ვიყავით იმით, რომ შეგვესრულებინა ისტორიული ამოცანა —წარმოების ამოცანა, რომელიც ამერიკელმა ხალხმა ფრიად მოხერხებულად და წარმატებით განახორციელა. დღეს სხვა აზრით ვართ შეპყრობილნი—ჩვენი გადაწყვეტილებაა მივიყვანოთ ეს ომი ბოლომდე, იმ დღემდე, როცა გაერთიანებულ ერთა ჯარები ტრიუმფალური მარშით გაიცლიან ბერლინის, რომისა და ტოკიოს ქუჩებში“.

„ყოველი ამერიკელი, განაგრძო რუზველტმა, თავისუფლებისათვის იბრძვის. დღეს ყოველი ამერიკელისა და მისი ოჯახის პირადი თავისუფლება დამოკიდებულია, ხოლო მომავალში კიდევ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული, მისი მეზობლების თავისუფლებაზე სხვა ქვეყნებში, ახლა მთელი მსოფლიო მთლიან ერთეულს წარმოადგენს. აი ამიტომ ეს ომი, ისეთ რაიონებში დაწყებული, რომლებიც შორეულ რაიონებად გვეჩვენებოდა, მთელს კონტინენტებზე და კუნძულთა უმრავლესობაზე გავრცელდა და მთელი კაცობრობის სიცოცხლესა და თავისუფლებას ეხება. თუ მშვიდობიანობა, რომელიც ომს მოჰყვება, იმაზე არ იქნება დამყარებული, რომ მთელი კაცობრიობა მთლიან ერთეულს წარმოადგენს, და თუ იგი არ უზრუნველყოფს საყოველთაო სამართლიანობას, მაშინ ახალი მსოფლიო ომის მიკობები მუდმივ საფრთხედ გადაიქცევა კაცობრიობისათვის“.

„ჩრდილოეთ აფრიკაში, სთქვა რუზველტმა, ჩვენ ამჟამად თავს ვუყრით ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის არმიებს იმისათვის, რომ დავიწყოთ ახლანდელ ომში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა. ტუნისისათვის ბრძოლაში მოწინააღმდეგის მიზანი იმით განისაზღვრება, რომ რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს თავისი უკანასკნელი ხიდისწინა სიმაგრე აფრიკაში და ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ მივწვდეთ სრუტეებს, რომლებიც ნაცისტთა ბატონობის ქვეშ მყოფ ევროპაში მივვიყვანს. ტუნისისათვის ბრძოლაში ჩვენი ძირითადი მიზანია ზღვაში გადავაგდოთ მოწინააღმდეგე. ინგლისის პირველი არმიის შემადგენლობაში, რომელიც ამ ბრძოლაში, გენერალ ანდერსონის სარდლობით მონაწილეობს, ფლანდრიაში და დიუნკერკთან წარმოებული ბრძოლების ბევრი ვეტერანი შედის. ამ ადამიანებს ანგარიში აქვთ, რომელიც უნდა გაუსწორონ ნაცისტებს. სამარადისო დამსახურება ინგლისის მერვე არმიისა, რომელსაც გენერალი მონტგომერი სარდლობს, ის არის, რომ მან გაანადგურა მარშალ რომმელის არმია და 1.500 მილ მანძილზე გარეკა უწინ ძლევამოსილი ნაცისტ-ფაშისტთა შეიარაღებული ძალები, რაც ისტორიაში ჩაიწერება. ტუნისში მოწინააღმდეგეზე იერიშს მიიტანენ სამხრეთიდან ეს დიდი მერვე არმია და საფრანგეთის ჯარები, რომლებმაც გენერალ დე გოლის ერთ-ერთი ოფიცრის, გენერალ ლეკლერკის სარდლობით შესანიშნავი გადასვლა მოახდინეს უდაბნო საჰარაზე. დასავლეთიდან მოწინააღმდეგეზე იერიშს მიიტანენ ინგლისისა და ამერიკის გაერთიანებული ძალები საფრანგეთის ჯარებთან ერთად, რომლებსაც გენერალი ჟირო სარდლობს.

ყველა ამ შეიარაღებულ ძალებს გენერალი ეიზენჰაუერი სარდლობს. ტუნისისათვის ბრძოლაში ჩვენ ადამიანთა დიდი მსხვერპლის გაღება მოგვიხდება. ამ ფაქტს ისეთივე გულდამშვიდებული ეფუკაცობთან უნდა მოვეკიდოთ, როგორსაც ჩვენი ჯარისკაცები იჩენენ ბრძოლის ველზე. მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ძალები ჰყავს და მტკიცე პოზიციები უჭირავს. იგი დიდი ზარალის ფასად ინარჩუნებს, თავის მომარაგების ხაზებს, მაგრამ ჰიტლერი მზად არის გაიღოს ეს ფასი, ვინაიდან მას შეგნებული აქვს ის შედეგები, რაც მოჰყვება ტუნისში მოკავშირეთა გამარჯვებას. ეს შედეგები იქნება ნამდვილად შეუჭარა ევროპის კონტინენტზე. ჩვენ არა ვფარავთ ჩვენს განზრახვას — განვახორციელოთ ასეთი შეჭრა. გერმანიასა და იტალიაზე განუწყვეტლივ და შეუნელებლივ მოვახდინო მძიმეებს.

„ომისადგილთში რუსეთის გასაოცარი არმიები გამანადგურებლად ურტყამენ მოწინააღმდეგეს. ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ დასავლეთში. მოწინააღმდეგეს ყოველი მიმართულებით უნდა ეურტყათ მძლავრად, რომ მან ვერასოდეს ვერ გაარჩიოს, თუ სად არის მისი ფრონტი და სად არის ზურგი. კასაბლანკაში სრული გარკვეულობა იქნა შეტანილი იმ მხრივ, რომ საფრანგეთის ფარგლებს გარეთ მყოფი ყველა ფრანგი ერთი დიადი მიზნით ერთიანდება — საკუნებით განთავისუფლებულ იქნას საფრანგეთი და მთელი ფრანგი ხალხი, რომელიც ტანჯავს განიცდის დამპყრობის უღელქვეშ. თავდადების სულისკვეთება დღითიდღე სულ უფრო და უფრო აერთიანებს ყველა ფრანგს, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ იბრძოლონ თავიანთი განთავისუფლებისათვის, ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების წლებში ჩაეყარა საფუძველი ძირითად პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი დემოკრატიული ქვეყნები. მთელი დემოკრატიული სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს პრინციპი, რომელიც აღიარებს, რომ ხალხს და მარტოოდენ ხალხს შეუძლია ძალაუფლება მიანდოს მთავრობას. ომში ჩვენი ერთი იმ მიზანთაგანი, რომლებიც აღნიშნულია ატლანტის ქარტიაში, ის არის, რომ უზრუნველეყოთ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც დაპყრობილი ქვეყნების ხალხები კვლავ გახდებიან თავიანთი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონნი. არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს იმის შესახებ, რომ გაერთიანებულ ერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაუბრუნონ დაპყრობილი ქვეყნების ხალხებს მათი წმიდა უფლებანი. საფრანგეთის სუვერენიტეტი საფრანგეთის ხალხს ეკუთვნის. ამ სუვერენიტეტის განხორციელება დროებით შესწყვეტა გერმანელთა ოკუპაციამ. მას შემდეგ, რაც გაერთიანებულ ერთა ძლევამოსილი არმიები საერთო მტერს, განდევნიან, ფრანგები წარმოდგენილი იქნებიან ისეთი მთავრობით, რომელსაც თვით ფრანგი ხალხი აირჩევს. ეს არჩევანი ყოველმხრივ თავისუფალი იქნება. მსოფლიოს არც ერთი ერი, რომელსაც შეუძლებლობა აქვს მოახდინოს თავისუფალი არჩევანი, არ დაემორჩილება არც ფაშისტურ ან ნაცისტურ მმართველობის ფორმას. არც იმ ფორმას, რომელიც იაპონიის სამხედრო ჯგუფმა მოალაყარა. მმართველობის ასეთი ფორმები ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა და თავისუფლების შეკვეცის შედეგია. ამიტომ გაერთიანებულ ერებს სრული საფუძველით შეუძლიათ სთქვან მშართველობის ამ ფორმების შესახებ რამდენიმე უბრალო სიტყვა, სახელდობრ: „ისინი არასოდეს აღარ იარსებებენ“. თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც შეიცავს ატლანტის ქარტია, იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მთავრობას შეუძლია მსგავსი ხოცვა-ყლეტა მოაწყოს, და უფლებას არ აძლევს მას მონებად გადაქცეოს შინა საკუთარი ხალხი ანდა მსოფლიოს სხვა ხალხები. მთელი მსოფლიო შეიძლება დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ახლანდელი ტოტალური ომი, რომელიც ადამიანთა ესოდენ მსხვერპლს იწვევს მთელ მსოფლიოში, როდი სწარმოებს იმ მიზნით ან იმის თუნდაც ფრიად შორეული განზრახვით, რომ სადმე დედამიწის ზურგზე ხელისუფლების სათავეში კვისლინგები და ლავალები იქნან დატოვებულნი.

კასაბლანკაში მიღებული გადაწყვეტილებანი და იქ შემუშავებული პრაქტიკული გეგმები არ განისაზღვრებიან ომის რომელიმე ერთი ასპარეზით ან ერთი კონტინენტით, ერთი ოკეანეთი ან ზღვით. ამა წლის დასასრულამდე მსოფლიო შეიტყობს უფრო მოკრძალებით, ვიდრე სიტყვებით, რომ კასაბლანკაში გამართულმა კონფერენციამ მრავალი ახალი ამბავი მოიტანა, და ეს ცუდი ახალი ამბები იქნება გერმანელებისა, იტალიელებისა და იაპონელებისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ დავამთავრეთ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩვენ შესამჩნევ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს ბრძოლა დაიწყო გასულ ზაფხულში სოლომონის კუნძულებთან და ახალ ბრიტანეთზე. მან ცხადყო ჩვენი ძალების უპირატესობა ავიაციის დარგში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი ჯარისკაცისა და მეზღვაურის საბრძოლო თვისებათა უპირატესობა. ამერიკის შეიარაღებული ძალები წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დიდ დახმარებას იღებენ ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, აგრეთვე უშუალოდ ინგლისიდან. ჩვენ განზრახვა არა გვაქვს იაპონიის საბოლოო განადგურებას იმდენი დრო მოვანდომოთ, რამდენიც დასჭირდებოდა ნელ გადასვლას დიუმ-დიუმობით, ერთი კუნძულიდან მეორეზე, წყნარი ოკეანის ვეებერთელა სივრცეებზე. იაპონელთა წინააღმდეგ განხორციელებული იქნება დიდი გადამწყვეტი მოქმედება იმ მიზნით, რომ დამპყრობი განდევნილ იქნას ჩინეთიდან. დიდი საჰაერო მოქმედება იქნება განხორციელებული ჩინეთში და თვით იაპონიის წინააღმდეგ. მოლაპარაკება, რაც კასაბლანკაში სწარმოებდა, განგრძობილ იქნა გენერალ არნოლდის მიერ ჩინეთში გენერალისიმუს ჩან კაი-შისთან და დამთავრდა შეტევითი ოპერაციების გარკვეული გეგმების მზრდით. არის ბევრი გზა, რომელთაც ტოკიოში პირდაპირ მივყეოვართ. ჩვენ არც ერთ ამ გზას არ უგულებელვყოფთ.

ცდილობენ რა თავიდან აიცილონ გარდუვალი კატასტროფა, ღერძის სახელმწიფოთა პროპაგანდისტები იყენებენ მთელ თავიანთ ძველ ხრიკებს იმისათვის, რომ განხეთქილება ჩამოაგდონ გაერთიანებულ ქვეყნებს შორის. ისინი ცდილობენ ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნან, რომ თუ ჩვენ ომს მოვიგებთ, მაშინ რუსეთი, ინგლისი, ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, კატისა და ძაღლის მსგავსად, ჩხუბს ასტეხენ ერთმანეთთან. ეს არის მათი უკანასკნელი ცდა — აამხედრონ ერთი სახელმწიფო მეორის წინააღმდეგ იმ ამაო იმედით, რომ ისინი შესძლებენ ცალკეალკე გაუსწორდნენ მათ. ისინი ამაოდ იმედოვნებენ, რომ რომელიმე ჩვენგანი, შესაძლოა, იმდენად გულმინდობილი და იმდენად გულმავიწყი იქნება, რომ შეიძლება იგი გაბრიყვდნ და აიძულონ დასდოს „გარიგება“ ჩვენი მოკავშირეების ხარჯზე. პასუხად ამ პანიკური ცდებისა — თავიდან აიცილონ თავიანთ დანაშაულებათა შედეგები, ჩვენ ვამბობთ: ყველა გაერთიანებული ქვეყნები აცხადებენ, რომ ერთადერთ პირობას, რომელის საფუძველზეც ჩვენ მზად ვართ ვიქონიოთ რაიმე საქმე ღერძის სახელმწიფოთა რომელიმე მთავრობასთან ან ღერძის სახელმწიფოთა რომელიმე ნაწილთან, წარმოადგენს კასაბლანკაში გამოცხადებული პირობა — „უსტაფეთ კაპიტულაციი“. ვადგებეთო რა ასეთ შეურიგებელ პოლიტიკას, ჩვენ განზრახვა არა გვაქვს ენება მივაყენოთ ღერძის ქვეყნების უბრალო ხალხს. მაგრამ ჩვენ განზრახვა გვაქვს მივაღწიოთ ღერძის ბარბაროს ხელმძღვანელთა სრულ დასჯას და მათთვის სამაგიეროს მიზღვას დამსახურებისამებრ, ნაკისტები ჯეშმარტად უგულურნი არიან, თუ ისინი ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ რაიმე პროპაგანდის საშუალებით აამხედრონ ინგლისის, ამერიკისა და ჩინეთის მთავრობანი და ხალხები რუსეთის წინააღმდეგ, ანდა რუსეთი ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ. ის გასაოცარი მმობცობა და სიმტკიცე, რაც გამოიჩინა რუსმა ხალხმა, გაუმკლავდა რა დამპყრობთ და მიერეკება რა მათ, და ის გენია, რომელითაც მისტერ სტალინი და მისი მხედართუფროსები ხელმძღვანელობენ რუსეთის დიდ არმიებს, — ყოველივე ეს თავისთავად შეტყველებს. ომის ტრაგედიამ ყველა გაერთიანებული ერის ხელმძღვანელებსა და ხალხებს გაუმახვილა გრძნობა, და ომის მიხედვით, რაც მე კარგად ვიცი, მე შემიძლია ვთქვა, რომ მათ შეგნებული აქვთ უკიდურესი აუცილებლობა — შეინარჩუნონ ომის შემდეგ თავიანთი ერთიანობა მუდმივი მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

თქვენ შეგიძლიათ სავსებით იყოთ დარწმუნებულნი, რომ თუ იაპონია პირველი დაეცემა ღერძის პარტნიორთაგან, მაშინ ყველა გაერთიანებული ერის მთელი ღონისძიებები და მთელი რესურსები წარიმართება გერმანიის განადგურების ამოცანისაკენ. მეორე მხრით, რათა ნაცისტებს ან იაპონელებს რაიმე ეჭვი არ შეეპაროთ იმაში, რომ ჩვენ ერთიანნი ვართ მთელ ქვეყნიერებაზე ომს სრულ გამარჯვებამდე მიყვანაში, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა მოისურვა დაედო ფორმალური შეთანხმება იმის შესახებ, რომ თუ გერმანია იაპონიაზე უფრო ადრე იქნება დამარცხებული, ბრიტანეთის იმპერიის მთელი რესურსები და ადამიანთა რეზერვები, რა თქმა უნდა, გაერთიანებული იქნებიან ჩინეთთან, რათა ყოველისშემცველი და საბოლოო ლახვარი ჩაეცეს იაპონიას.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ჩვენი პოლიტიკა ჩვენი იაპონელი მტრის მიმართ სწორედ ისეთივეა, როგორიც ჩვენი ნაცისტი მტრების მიმართ. ეს არის პოლიტიკა შეუპოვარი ბრძოლისა ყველა ფრონტზე და შ